

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი
დავით ბაციკაძე

2021 წლის პირველი სექტემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის
ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ვახორციელებდი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: ვმუშაობდი წარმოდგენილი საკანონმდებლო საკითხების განხილვაზე, ვიხილავდა საქართველოს პარლამენტიდან გამოგზავნილ განათლების, მეცნიერებისა და კულტურისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ კანონპროექტებს.

უფლებამოსილების ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სახელმწიფო პრიორიტეტებიდან გამომდინარე ვახორციელებდი:

- საზედამხედველო საქმიანობას;
- აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებზე საკომიტეტო კონტროლს;
- კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობასა და მასში საზოგადოების ჩართულობას.

საკანონმდებლო საქმიანობა

- საანგარიშო პერიოდში ჩავატარე კომიტეტის 12 სხდომა, განხილული იქნა 20 საკითხი;
- წარვადგინე 14 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე;

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში შემოსული პეტიციები

კომიტეტის ფორმატში განვიხილე მოქალაქე იზა ფუტკარაძის პეტიცია - „აჭარის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებების, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის თაობაზე“, რომელსაც თან ახლდა პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული 227 მხარდამჭერის ხელმოწერა. პეტიციის თანახმად, შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ქალთა საჭიროებების კვლევის მიხედვით, დიდ პრობლემას წარმოადგენს უწყვეტ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობა, ხოლო მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ზოგიერთ დასახლებებში ინტერნეტზე წვდომის ფაქტიურად არ არსებობის გამო სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მოკლებულია ინფორმაციის სრულყოფილად მიღებას და ითხოვს პრობლემის მოგვარებას.

განხილვის შედეგად უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140¹ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პეტიცია რეაგირებისათვის გადავუგზავნე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

საზედამხედველო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში საკომიტეტო ფორმატში ჩავატარე თემატური მოკვლევა თემაზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა“.

მოკვლევის ფარგლებში:

- დამუშავდა 204 სუბიექტისაგან მიღებული ინფორმაცია;

- ჩატარდა 2 გასვლითი სხდომა;
- ჩატარდა ერთი ზეპირი მოსმენა.

სკოლებში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც გადაეგზავნა აარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

1. 2021 წლის 21 სექტემბრის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ წარმოადგინა;
2. 2022 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022-2025 წლების პრიორიტეტები, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ წარმოადგინა.
3. 2022 წლის 10 მაისის კომიტეტის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშები, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ წარმოადგინა;
4. 2022 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ წარმოადგინა;
5. 2022 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე განვიხილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023-2026 წლების პრიორიტეტები, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ წარმოადგინა.

მოქალაქეთა წერილები, მომართვები და მასზე გაცემული პასუხების რაოდენობა

- საანგარიშო პერიოდში მივიღე 57 მოქალაქე;
- კომიტეტში შემოვიდა და დამუშავდა 276 კორესპონდენცია;
- კომიტეტიდან გაიგზავნა 25 კორესპონდენცია.

სისტემატიურად ვმართავ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან

- მონაწილეობა მივიღე ბათუმის დრამატულ თეატრში გამართულ - მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ცერემონიაში;
- ჩავატარე შეხვედრა ბათუმის საჯარო სკოლების დირექტორებთან, სადაც მინისტრ მათა ხაჯიშვილთან ერთად ვისაუბრე კოვიდპანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების დაძლევისა და პანდემიასთან თანაცხოვრების პირობებში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების ეფექტურად დაძლევისათვის საკანონმდებლო ორგანოს მადლობის სიგელითდავაჯილდოვე ბათუმის 27 საჯარო სკოლა.
- მოვინახულე უკრაინიდან დევნილი მოსწავლეები, რომლებიც ქალაქ ბათუმის მე-3 საჯარო სკოლაში გამარტივებული წესით ჩაირიცხნენ. ასევე დავესწრი 20-ე საჯარო სკოლაში უკრაინული სექტორის გახსნის ცერემონიას;
- დავესწარი ევროკავშირში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეგიონებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე გამართულ შეხვედრას;
- მონაწილეობა მივიღე შეხვედრაში, რომელიც ტურიზმის სფეროში სასწავლო პრაქტიკისთვის, გერმანიაში, აჭარის ხელისუფლების ხელშეწყობით წარგზავნილ სტუდენტებთან შედგა;
- დავესწარი ბრიუსელში გამართულ ევროპის რეგიონთა ასამბლეის სხდომას, სადაც განიხილებოდა არსებული გლობალური გამოწვევების დაძლევის პოლიტიკა, სამომავლო ურთიერთობები, პერსპექტივები და პრიორიტეტები;
- მონაწილეობა მივიღე ბათუმის საზაფხულო თეატრში გამართულ წარმატებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონიაში, სადაც საგნობრივ კონკურსებსა და ოლიმპიადებში გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ;
- მონაწილეობა მივიღე შეხვედრაში, რომელიც სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ წარჩინებულ სტუდენტებთან გაიმართა;
- მივიღე და აჭარის უმაღლეს საბჭოს ფუნქციები გავაცანი, ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის უკრაინელ მოსწავლეებს, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს ექსკურსიის სახით ესტუმრნენ;
- დავესწარი ბათუმის 25-ე საჯარო სკოლაში, გამართულ მოსწავლეთა ლიტერატურულ მართონს;
- მონაწილეობა მივიღე სპორტის დეპარტამენტის შემაჯამებელ ღონისძიებაში „2022 წლის სპორტის სფეროს წარმომადგენლების დაჯილდოება“, სადაც დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები, საუკეთესო პარა-სპორტსმენები, წარმატებული სპორტსმენები, საუკეთესო მწვრთნელები, ვეტერანი სპორტის მოღვაწეები, წლის სპორტული მენეჯერი და საუკეთესო სპორტული ჟურნალისტები.

აქტიურად ვთანამშრომლობ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.ვარ
სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- „სტუდენტთა დახმარების“ ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- პროექტების - „სწავლა საზღვარგარეთ“, „სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“, „კონფერენციის ორგანიზება“ ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი;
- „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის „სეზონური სკოლის მოწყობის“ კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.

დავით ბაციკაძე

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე